სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/73

ქ. თბილისი 24 ივნისი 2021 წ.

ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტიდან ტელეკომუნიკაციის საგანმანათლებლო პროგრამის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე გადატანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-8 მუხლის შესაბამისად, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 28 მაისის სხდომის №4 ოქმის და ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 5 ივნისის ხდომის №6 ოქმის საფუძველზე და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 ივნისის №01-05-02/13 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1.მიღებული იქნეს წინადადება ფაკულტეტების რეორგანიზაციისა და 2021/2022 სასწავლო წლის პირველი (შემოდგომის) სემესტრიდან ფაკულტეტის ქვემოთ ჩამოთვლილი საგანმანათლებლო პროგრამების უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე გადატანის თაობაზე:

ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები - საბაკალავრო (ქართული);

ტელეკომუნიკაცია - საბაკალავრო (რუსული);

ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები - სამაგისტრო (ქართული);

ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები - სადოქტორო (ქართული).

2. მიღებული იქნეს წინადადება ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დასახელების შეცვლის თაობაზე და ეწოდოს ენერგეტიკის ფაკულტეტი.

3. მოწონებული იქნეს ფაკულტეტების რეორგანიზაციასთან და პროგრამების გადატანასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ცვლილებები ფაკულტეტების საშტატო განრიგში და დებულებებში.

4. წინადადება ფაკულტეტის რეორგანიზაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით და შესაბამისი ცვლილებები ფაკულტეტის საშტატო განრიგში და დებულებაში დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

5. დადგენილების პირველი და მეორე პუნქტები ამოქმედდეს 2021/2022 სასწავლო წლის პირველი (შემოდგომის) სემესტრიდან.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ნ. კუტუბიძე**